# სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 966

დამატების № 170

კვირა, 11 აგვისტო 1913 წ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## სინათლე

**ზღაპარი ფეერია**

3 მოქმედ. და 7 სურათად.

**მოქმედნი პირნი:**

მეფე ჯიმშერი.
დედოფალი.
გორჯასპი, ავთანდილი — მათი შვილები
სპასალარი.
ვეზირი.
პირველი და მეორე დესპანები.
პირველი კარის კაცი.
მეორე კარის კაცი.
შიკრიკი პირველი და მეორე.
გლეხკაცები პირველი და მეორე.
დავრიში—ქაჯთა მეფე.
ჯადოსანი—მისი დედა.
პირველი ეშმაკი.
მეორე ეშმაკი.
მესამე ეშმაკი.
პირიმზე.
მთვარია.
ბროლისახე
ნათელა.
წკრიალა.
ანკარა.
— ფერიები.

ეშმაკები ქაჯები, გლეხები, გამდელები ძიძები და ორი დარაჯი.

### მოქმედება პირველი.

**სურათი** I

მარცხნივ სასახლეში შესავალი კარები. წინ ეზო, სამი დიდრონი კაკლის ხე. შუა ხის ძირში ბალდახინი მეფე დედოფლისათვის. მარცხენა ხის უკან კლდე. კარის მსახურნი შუა ხის წინ სუფრას ამზადებენ. თავს ადგანან I და მე-II კარის კაცები. უკან მოსჩანს სასახლის ბაღი.

**პირველი კარ. კაცი.** ჰა, აბა ჩქარა! სადაცაა მეფე გამობრძანდება...

**მეორე კარ. კაცი.** თითქმის ყოველის ფერი მზათაა... (გაიწვევს განზე პირვ. კ. კ—ს) ადამიანო! ეს დაუსრულებელი ლხინი-ქეიფი როდემდის გასტანს. მეფემ საქმეებს სრულებით თავი გაანება. ხალხი იჩაგრება, ირგვლივ მტერი გვარტყია... არ ვიცი, როდემდის უნდა ვიყოთ ამ მდგომარეობაში...

ს.-პეტერბურგის აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიკოსი **ნიკო მარი**. (მისი მეცნიერული მოღვაწეობის 25 წლის შესრულების გამო.)

**პირველი კარ. კაცი.** ეჰ, ძმაო... სევდას და მწუხარებას რას უზამ, გლოვის ლხინია ეს ჩვენი მეფის ქეიფი... „შვილი არა მყავსო და ამოდენა სიმდიდრე, სარჩო, სანოვაგე ვის დაუტოვო... სჯობს ვიდრე ცოცხალი ვარ მე თავად გამოვიყენოო...“ საქმეებზე ხმას არავის ამოაღებინებს. დიდებულები გაჩუმებულები არიან. იმ დღეს სპასალარმა სამეფო საქმეებზე ჩამოაგდო ლაპარაკი. მეფე განრისხდა, გაუწყრა... „თუ ჩემი პურმარილი არ მოგწონს, გზა დამილოცნიაო.“

**მეორე. კარ. კაცი.** აი ახლაც ემანდ შიკრიკი იცდის და მეშინიან, ვერ მომიხსენებია...

**პირ. კარ. კაცი.** შიკრიკი?.. საიდან მოსულა?

**მეორე კარ. კაცი.** სამხრეთიდან... ისეთი ფერი კი ადევს, რომ კარგი ამბის მახარებელი არ უნდა იყოს.

**პირ. კარ. კაცი.** სამხრეთიდან? ალბად როსტომ მეფე შემოესია ჩვენს საზღვრებს და ხომ იცი ის კეთილს არ დაგვაყრის... რაც გახდება გახდეს და მაგ შიკრიკის მოსვლას ვეზირს ვაუწყებ. გაჩუმება არ შეიძლება (ისმის მუსიკის ხმა. ზურნა) აგერ მეფე დედოფალიც მობძანდებიან. (შემოდიან მეფე, დედოფალი ამალით, მათში სპასალარი და ვეზირი. მეფე დედოფალი დასხდებიან ბალდახინის ქვეშ. ამალა სუფრასთან ადგილებს დაიჭერს. პირველი კარ. კაცი ვეზირს წასჩურჩულებს).

**მეფე.** დაბძანდით, ჩემო ძვირფასო სტუმრებო, განვაგრძოთ ამ გრილოში ჩვენი ტკბილი ლხინი... (სხდებიან).

**ვეზირი.** მაპატიე, დიდებულო მეფევ, ცოტა რამ საქმე გახლავთ... ძრიელ საჭირო საქმე...

**მეფე.** კიდევ საქმე?.. რამდენჯერ მითქვამს: მე საქმეებს თავი დავანებე. ნუ თუ მე, მეფეს, იმის უფლებაც არა მაქვს, რომ მშვიდობიანათ ვილხინო, საქმეებისთვის არ ვიტკიო თავი?..

**ვეზირი.** მზეო ქვეყნისავ! შიკრიკი გხლებია...

**მეფე.** შიკრიკი?.. თუ გვპატიჟობს ვინმე? შემოიყვანეთ შიკრიკი და ვაი იმის თავს, თუ საქმეებზე მოგვიყვა ლაპარაკს (კარის კაცი გადის და შემოჰყავს შიკრიკი. შიკრიკი მიესალმება მეფეს).

**შიკრიკი.** დიდება და დღეგრძელობა ჩვენს სახელოვანს მეფე ჯიმშერს!..

**მეფე.** რითი გაგვახარებ? საიდან მოდიხარ?..

**შიკრიკი.** სამხრეთიდან, დიდებულო!.. როსტომ მეფე აუარებელი ჯარით და ხომალდებით მოადგა ჩვენს საზღვარს. ზღვის გზა შეგვიკრა და შენი ორი ხომალდი ხელთ იგდო. ამ ხომალდებს შენთვის აუარებელი ოქრო და მარგალიტი მოჰქონდათ ინდოეთიდან...

**მეფე.** (განრისხებული) ემაგისთვის შემაწუხეთ... მაგისთვის შემაწყვეტინეთ ლხინი?.. მაინც საქმეებით მაწუხებთ? როსტომ მეფე?.. ოქრო? რად მინდა ოქრო?.. ნეტავი ჩემს სიცოცხლეში ის მოვიხმარო რაც მაქვს. მე თქვენ გეტყვით შვილი მყავს და იმას დაუტოვებ... როსტომ მეფე კოტრი და ღატაკია... შინ ლუკმა პურიც კი უჭირს... დეე, მიჩუქებია ის ოქრო მისთვის... (შიკრიკს) გაეთრიე აქედან და ღმერთს მადლობა შესწირე, რომ კარგს გუნებაზე ვარ, თორემ მათრახები არ აგცდებოდა. (შიკრიკი გავა) დაბძანდით, უმაწვილებო, განვაგრძოთ ლხინი... აბა, სპასალარო, იკვეხდი შესანიშნავი მოცეკვავე ქალები ვიშოვნეო... გვაჩვენე ეს შენი მოცეკვავენი, თორემ ცარიელ ტრაბახობაში ჩამოგართმევ...

**სპასალ.** ოღონდ შენ ისიამოვნე, დიდებულო მეფევ, და სწრაფლ აღვასრულებ შენს ბძანებას (დაუკრავს სამჯერ ტაშს. ბაღიდან გამოსცვივდებიან ფერიები: პირიმზე, მთვარია, ბროლისახე, ნათელა, წკრიალა და ანკარა. უკრავს ნაზი მუსიკა. ფერიები ცეკვავენ. გაათავეს ცეკვა. გაიქცნენ და დაიმალნენ ბაღში.)

**მეფე.** მართლაც მშვენივრები ყოფილან... რაღად გაიქცნენ... სპასალარო, დაუძახე, გვსურს დავსტკბეთ ცოტათი კიდევ მათ თვალ-წარმტაცი ცეკვით... რა მშვენივრები არიან. სად გიშოვნია, სპასალარო?.. დააბრუნე, დააბრუნე... კიდევ ვაცეკვაოდ... ძვირფასს საჩუქარს არ დავზოგავ...

**სპასალარ.** ჩვენო დიდებავ! ვერვინ დაეწევა და არც დაბრუნდებიან... ტყის ფერიები არიან... იმ დღეს ჩემი მონა-

დირეები ტყეში ნადირობდნენ... დაჭღამებოდათ მაღლა მწვერვალზე. დილის რიჟრაჟზე, ის იყო ტყეს ღამე ემშვიდობებოდა და დღე ეპარებოდა, მისდგომიამ მონადირეები ერთს უზარმაზარ მუხის ხეს და დაუნახავთ ამ მუხის გარშემო მოცეკვავე ფერიები. დასდევნებიან მონადირეები დასაჭერად, მაგრამ გასხლტომიან ფერიები ხელიდან. მხოლოდ ერთი ფერიის ლეჩაქი ხელთ შერჩენია მონადირეს და მოგეხსენებათ, მეფევ, თუ ფერიამ თავისი ლეჩაქი დაჭკარგა,—მზის ამოსვლის უმალ მოჰკვდება... ეხვეწებიან ფერიები დაგვიბრუნეთ ლეჩაქიო.. მონადირეები არ ანებებენ... „წამოდით, ჩვენის მეფის წინაშე იცეკვეთ და ლეჩაქს დაგიბრუნებთო“. ბევრი ყოყმანის და მუდარის შემდეგ დათანხმებულან ფერიები. გადმოუგდიათ ერთი რკო და უთქვამთ: ვისაც ეს რკო ექნება და საჯერ ტაშს დაჰკრავს, სადაც უნდა იყოს გავჩნდებით და ვიცეკვებთ, მხოლოდ ერთხლის მეტად კი არ შეგვიძლიან ცეკვაო. დაუბრუნებიათ მონადირეებს ლეჩაქი და რკო კი მე მომიტანეს. ახლა ამ რკოს არავითარი ძალა აღარა აქვს, რადგანაც ფერიებმა თავისი დაპირება აღასრულეს.

**მეფე.** ეხ, ყოველგვარი სიამოვნება ხან მოკლე და წუთიერია... აი გინდა ლხინიც... პირველში თითქოს მართობდა, მავიწყებდა დარდს და მიქარგავდა სევდას... ახლა კი ისევ... ისევ...

**დედოფ.** რაზე მოიწყინე, ჩვენო დიდებავ?.. რატო ისე მოგეღრუბლა მაღალი შუბლი?.. უბძანე და განა მთელს შენს სამეფოში არ მოიპოვებიან საუკეთესო მოცეკვავე ქალები?..

**მეფე.** არა, არა... რომ მომაგონდება: ეს ძლიერი სამეფო, დიდძალი განძი და სიმდიდრე... ვის დაუტოვო?!.. შენ იცი, დედოფალო, ჩემი გულის ნაღველი, ჩემი მწუხარების მიზეზი. საუკუნობით განთქმული დიდებული და ძლევა-მოსილი მეფეთა გვარეულობა უნდა მოისპოს?.. ვის ჩავაბარო ყოველისფერი, ვის ვუანდერძო ის, რაც გადმომცეს ბრწყინვალე წინაპრებმა?—

**ხპასალ.** მზეო ქვეყნისავ, ნუ მოაწყენ გულს, ნუ დაჰკარგავ იმედს, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი... გეყოლება კიდევ შვილი და შენთან ერთად გაიხარებს ქვეყანა...

**მეფე.** ჰმ... რაღადროსია... კაცი ვბერდები... სადაც არის შავი აჩრდილი წამომეპარება და ზარს ჩამოჰკრავს...

**ვეზირი.** ჩვენო დიდებავ! მოგვაპყარ სმენა შენი და მოწყალებით გადმოგვხედე... უზენაესმა ხანგრძლივ ჰყოს შენი სიცოცხლე და ბედნიერად მრავალ ჟამიერ გაბატონოს ჩვენდა სასიხარულოდ და ქვეყნის საკეთილდღეოთ... მაგრამ ნუ დაობლებ შენს სამფლობელოს, ნუ დასტოვებ უპატრონოდ შენს ერთგულს ხალხს... მართალია, შვილი არ გეყოლა... ალბად ეს ღვთის განგებაა... მართალია, ორი საუკეთესო გვარის შვილები, რომელნიც შენ იშვილე, ულმობელმა სიკვდილმა ჩვენდა საუბედუროდ წაგვართვა... ალბად, ესეც ღვთის განგება იყო... მაგრამ გემუდარებით, სცადე ერთი კიდევ... ამოარჩიე კიდევ ერთი წარჩინებული გვარის შკილი, შვილად აიყვანე...

სკრიპკაზე დამკვრელი
**ილიკო ქურხული.**
(იხ. დღევანდელი გაზეთი).

**ილიკო ქურხული** ს.-პეტერბურგის სახლების ეზოებში ხალხისათვის სკრიპკას უკრავს.
(იხ. დღევანდელი გაზეთი.)

**მეფე.** როგორ? კიდევ ერთი უმანკო პაწაწია ბავშვის ცოდო ავიღო ტვირთად?.. კიდევ გავხადო ვინმე მსხვერპლად?.. არა, არა, ალბად ჩემი ბედი ასეთია. არ ვიცი კი რა შევცოდე მაღალს ღმერთს, რომ ასე სასტიკად მსჯის... არა, შვილი მე არ მეყოლება და ვერც შვილად ავიყვან ვისმეს... (გაისმის უცბად ჭექა-ქუხილი თითქოს სადღაც ახლო მეხი ჩამოვარდაო... დაუბერავს ზუზუნით ქარი. ყველანი წამოხტებიან. მარცხნივ კლდე გაიპობა და გამოჩნდება **დავრიში.** წითელი სინათლე. ყველანი თავზარდაცემულნი შესცქერიან დავრიშს. იგი მძიმე ნაბიჯით მოდის წინ და მეფეს მიესალმება.)

**დავრიში.** დიდება და გამარჯვება სახელგანთქმულ მეფე ჯიმშერს!..

**მეფე.** ვინ ხარ შენ? როგორ გაჰბედე აქ მოსვლა დაუკითხავად?.. ჯოჯოხეთის თუ სამოთხის მოციქული ხარ?

**დავრიში.** შენი მორჩილი მონა, საწყალი დავრიში... გლახაკი და კეთილი ხალხის წყალობით მცხოვრები.

**მეფე.** რა გინდა აქ? როგორ გაჰბედე, გეკითხები, ჩემი ნადიმის და ლხინის შეშლა?

**დავრიში.** მაპატიე, მეფევ... შენი ნადიმი და ლხინი სევდით და გლოვით არის გამოწვეული. ვიცი შენი გულის ნადები, ვიცი რა გაიძულებს შენი ტკივილები და ბოღმა ლხინით და ვითომ მხიარულებით გაიქარვო, დაივიწყო... მე გიშველი, მე აგისრულებ სურვილს... მე მოგცემ შვილს...

**მეფე.** შენ?.. რა შეგიძლიან, შენ, ვიღაც საბრალო დავრიშს?.. მთელი ქვეყნის ბრძენნი, ნასწავლნი სცდილობდნენ... რა წამალს, რა შელოცვებს არ ხმარობდნენ ჩვენი გულთმისნები და ვერა გააწყესრა და შენ, შენ, საცოდავო დავრიშო, რა უნდა მიშველო... შენ რა შეგიძლიან?..

**დავრიში.** თუ ჩემმა აქ მოსვლამ არ დაგანახვა თუ რა შემიძლიან.. მაშ, კარგი. აჰა, შეხედე ცას— მთლად მოწმენდილია, ერთს პაწაწა ღრუბლის ნაგლეჯსაც ვერსად დაინახავ. და აჰა! (გაიქნევს მარცხენა ხელს და წვიმას დაუშვებს. ყველანი ხის ქვეშ ეფარებიან) აჰა, ახლა, კიდევ (გაიქნევს მარჯვენა ხელს და წვიმას გადაიღებს) აი გადაიღო, გამოიდარა... ახლა ხომ გჯერა, რომ ბევრი რამ შემიძლიან.

**მეფე.** ბელზეულისაგან ხარ მოგზავნილი, თუ მართლა წმინდა სული მოგვევლინა საშველად?

**დავრიში.** ეგ სულ ერთია... მაგას ნუ გამოეკიდები... მე უბრალო, საწყალი დავრიში ვარ, მაგრამ შველა კი შემიძლიან,—შვილს კი მოგცემ...

**მეფე.** მიშველე და შენს წონა ოქროს არ დავზოგავ. ნახევარ სამეფოს მოგცემ, ოღონდ აღმისრულე...

**დავრიში.** დავრიშს ოქრო არ ესაჭიროება და არც მეფობა უნდა... გითხარი გიშველი, მხოლოდ ერთის პირობით და თუ დასთანხმდები, წამალსაც გასწავლი.—

**მეფე.** სთქვი და არას დავზოგავ, არაფერს შეუშინდები...

**დავრიში.** მაშ კარგი... წლის თავზე დედოფალს ეყოლება ტყუპი შვილი, ორი ვაჟი. მათში ერთი ჩემი უნდა იყოს... თუ თანხმა ხარ...



**ახლად გახსნილი, ქალაქის ბაღი (პარკი) ვერაზე, მტკვრის პირად.**

**დედოფ.** უიმე, დედამ შვილი როგორ უნდა გაიმეტოს? ორ ძუძუში ერთი რომ მოჰგლიჯო, არ ეტკინება?

**მეფე.** მოითმინე, დედოფალო... თუ კი ორი გვეყოლება?.. ნათქვამია სულ არარაობას ცალ უღელი ხარი სჯობიაო...

**ყველანი.** დასთანხმდით, მეფე—დედოფალო, დასთანხმდით... ნუ დააობლებთ ქვეყანას!..

**მეფე.** (დავრიშს) კარგი, მე თანახმა ვარ... აი ამ ხალხის წინაშე გიცხადებ; თუ წლის თავზე გვეყოლა ორი ვაჟი, მათში ერთი შენია... გვასწავლე წამალი...

**დავრიში.** დილის რიჟრაჟზე დედოფალი გაბძანდეს ბაღში და თავის ხელით მოსწყვიტოს ჭიაფერი ვარდი, რომელიც შადრევანთან ჰყვავის, ისე კი მოსწყვიტოს, რომ არც ერთი წვეთი დილის ნამისა არ ჩამოვარდეს. მარცხენა ლოყით შეაშროს ის ვარდი და მერე შესჭამოს. წლის თავზე ეყოლება ტყუპი ვაჟი. თერთმეტის წლის, თერთმეტი თვის, თერთმეტი დღის, თერთმეტი საათის და თერთმეტი წუთის შემდეგ მოვალ და, მეფევ, ჩვენი პირობა უნდა აღვასრულოთ. (გაისმის ქუხილი, ქარი. დავრიში კლდეში იმალება. ყველანი თავზარდაცემულნი სდგანან.)

ფ ა რ დ ა.

**სურათი** II.

დარბაზი სასახლეში. უკან დიდი ფარდა, რომლის უკან ბავშვების ოთახია. ამ ოთახის იატაკი ცოტათი მაღლაა ვიდრე იატაკი დარბაზისა და აქვს კიბე. კიბის აქეთ-იქით თითო დარაჯი სდგას. დარბაზში მარჯვნივ მეფე დედოფლის ტახტია. მეფე, დედოფალი ტახტზე სხედან, ორივ მხრივ ჩამწკრივებულან კარის კაცნი და დიდებულნი, მათ შორის ვეზირი.

**მეფე.** (ვეზირს) ხომ აუწყეთ ხალხს ჩვენი ბედნიერება?.. ხომ კარგად უმასპინძლდებით ხალხს? ნურას დაზოგავ. სიხარული და ბედნიერება ჩვენი უსაზღვროა და გვსურს ხალხმაც გაიზიაროს იგი...

**ვეზირი.** დიდებულო მეფევ! ეს ერთი თვეა, რაც დაგლოცა უზენაესმა და დედოფალს ორი ვაჟი შვილი ეყოლა და ამ დღიდან ხალხის სიხარულს საზღვარი არა აქვს. ლხინობენ, და შეჰხარიან ახლად დაბადებულს მეფის შვილებს. სარჩო საზოგადო უხვად აქვთ... ღვინო, პური ულეველი, შენი წყალობით...

**მეფე.** აგრე, აგრე ყველას უხაროდეს... ჩვენი სურვილია, რომ ჩვენს სამეფოში ყველა ჩვენსავით გახარებული და ბედნიერი იყოს... შემოიყვანეთ ახლა დესპანები (კარის კაცი გადის. დედოფალს) ჩემო ძვირფასო, ჩვენი პაწიები როგორ არიან?

**დედოფ.** ნამდვილი ანგელოზები არიან... გარდა ორი ძიძისა თითო ბავშვს ორ ორი საუკეთესო გამდელი მიუჩინე... დარაჯები მუდამ სდარაჯობენ,—ავი თვალი არ ეცეთ.

**მეფე.** ყოველ მხრიდან დესპანები მოდიან მოსალოცად. (შემოდიან დესპანები ამალით და საჩუქრებით.)

**პირ. დესპანი.** დიდება და დღეგრძელობა სახელოვან მეფე ჯიმშერს! უფალმა გიკურთხოს მარჯვენა და ბედნიერად გიცოცხლოს ოჯახობა! შენი ძმა და მეგობარი ჩვენი დიდებული მეფე არსლანი სალამს გიძღვნის, გილოცავს ვაჟიანობას და გისურვებს ყოველგვარ სიკეთეს.

**მეფე.** გმადლობთ, დესპანო! დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ძვირფასი ძმა და ერთგული მეგობარი მეფე ასლანი იზიარებს ჩვენს ბედნიერებას. უღრმესი ჩვენი მადლობა გარდაეცით მეფე ასლანს. (პირველი დესპანი გადგება განზე.)

**მეორე დესპანი.** სალამი და გამარჯვება დიდებულ მეფე ჯიმშერს! მიიღე, ქვეყნის მზეო, გულწრფელი სალამი და მოლოცვა ჩვენი დიდებული მეფის და შენი ერთგულის ძმის მეფე დურმიშხანისა. უფალმა გაგიზარდოს ისეთი შვილები, როგორიც შეჰფერის შენს დიდებას და სახელს. გაუმარჯოს მეფე ჯიმშერს ოჯახობით!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

**მეფე.** გმადლობთ, დესპანო! ჩვენს ძმას დამეგობარს სახელოვან მეფე დურმიშხანს ჩვენი ულრმესი მადლობა. უზომოა ჩვენი სიხარული და ბედნიერება და იგი ორკეცდება თქვენის თანაგრძნობით. ძრიელ ვწუხვარ რომ ვერ გვეწვივნენ თვით მეფენი ასლანი და დურმიშხანი.

**ორივ დესპანი.** ძრიელ ჰსურდათ, მოწადინებულნი იყვნენ. მაგრამ მოგეხსენება, მეფევ, უგზოობაა... ჩვენც ძლივს მოვახწიეთ...

**მეფე.** მიიწვიე, ვეზირო, დესპანები... გაუმასპინძლდი, როგორც შეჰფერის მათ ღირსებას... დესპანებო, გიწვევთ ხვალ ნათლობაში. (დესპანები თავს უკრავენ და გადიან ვეზირთან ერთად.)

**პირ. კარ. კაცი.** დიდებულო, მეფევ! შიკრიკი გიახლათ.

**მეფე.** შემოიყვანეთ (პირ. კ. კ. გადის) აბა, ვნახოთ რას გვეხარებს შიკრიკი. (შემოდის შიკრიკი.)

**შიკრიკი.** ჩვენო დიდებავ! ბრწინვალე გამარჯვება! ფეხდა-ფეხ მომდევს და სადაცაა გაჩნდება შენს წინაშე ძლევაშოსილი შენი სპასალარი. როსტომ მეფე სასტიკად დამარცხდა, ხელთ ვიგდეთ მთელი მისი ბანაკი, აუარებელი ხალხი დაუტყვევეთ... ძვირფასი ნადავლით და ტყვეებით გამარჯვებული შენი ჯარი ბრუნდება სამშობლოში.

**მეფე.** ასი ოქრო შიკრიკს! (ამ დროს მოისმის მუსიკა და ხორო: „ქართველო ხელი ხმალს იკარ...“)

**ყველანი.** გაუმარჯოს მეფეს! მეფეს გაუმარჯოს! (შემოდის დროშით ხელში სპასალარი, თან ახლავს ამალა. სპასალარი მივა, დაუჩოქებს მეფეს და ჩააბარებს დროშას. სიმღერა სწყდება.)

**მეფე.** (ააყენებს სპასალარს და გადაეხვევა) გმადლობ, ჩემო დიდებულო გმირო! ძვირფასი საჩუქარი მიძღვენი.

**სპასალარი.** დიდებულო, ხელმწიფევ! სასტიკად და საბოლოოდ დამარცხებული როსტომ მეფე მოწიწებით შერიგებას ითხოვს...

**მეფე.** ვაპატიებთ, ვაპატიებთ... (შემოდის ვეზირი) დაბინავე, ვეზირო, დესპანები?

**ვეზირი.** დიაღ, ხელმწიფევ!

**მეფე.** გიწვევ, სპასალარო, ნათლიად... გავაჩაღოთ ხვალ ნათლობა... შენ დაანათლე შენი ნიჭი, გულადი გული, მტრისათვის მძიმე მარჯვენა...

**სპასალარი.** არა ვარ ღირსი ეგოდენ წყალობისა, ხელმწიფევ!

**მეფე.** ღირსი ხარ და ღირსეულად გაჯილდოვებ! ახლა, ვეზირო, გაგვიმასპინძლდი. დაღლილ სპასალარს და ჯარს მოშივდებოდათ და მოსვენებაც სჭირიათ. (მეფე ამალით, ვეზირი, სპასალარი გადიან. სცენაზე რჩება დედოფალი ორიოდ მხლებელი ქალებითურთ.)

**დედოფ.** (აღის ბავშვების ოთახში. დარაჯები აქეთ-იქით ფერდას გასწევენ. ოთახში ორი აკვანი ბავშვებითურთ. ბავშვებს ახლავან ძიძები და გამდელები. ღამდება. ბავშვების ოთახში კისფერი სინათლეა. დედოფალი მივა ჯერ ერთს ბავშვს აკოცებს. მერე მეორეს.)

**დედოფ.** ჩემო გვრიტებო, ჩემო ანგელოზებო! (ჩამოდის ისევ დარბაზში. დარაჯებს) კარგად უდარაჯეთ. თვალყური ადევნეთ...

**პირველი დარ.** ნუ რას შესწუხდები, დედოფალო, ბუზსაც კი არ გავაფრენთ.

**მეორე დარ.** ჩვენი მეფის შვილები, ჩვენი თვალის ჩინია... ნეტავი არ მინდა მიეკაროს ვინმე...

**დედოფ.** ფარდები ღია იყოს, ჰაერი იმუშავებს. (დედოფალი მხებლებით გადის- ბნელდება, დაღამდა. გამდლები გადიან უკანა კარებიდან. ძიძები ბიწვებიან ტახტზე.)

**პირველი დარ.** (ამთქნარებს) ო-ხ, რარიგად მეძინება, ეს მეორე ღამეა არ მძინებია... ბიჭო, მე ცოტას ჩავთვლიმავ... შენ უდარაჯე, მერე გამაღვიძე: ახლა მე ვუდარაჯებ და შენ ცოტას ჩაიძინებ.

**მეორე დარ.** ეგრე უყოთ... სასახლეს გარშემო დარაჯები არტყია და ვის შემოუშვებენ?..

**პირვ. დარ.** (ჩაიკეცავს კიბესთან, ამოიოხრებს და ჩაეძინება. მეორე დარაჯი ცოტა ხანს სდგას, მერე კიბეზე ჩამოჯდება, ჩაღუნავს თავს და იმასაც ჩაეძინება. ცოტა ხნის შემდეგ ამოძვრება იატაკიდან **დავრიში**, წავა ჯერ პირველ დარაჯს შემოავლებს თავზე ხელს, მერე მეორეს; შემდეგ ადის ბავშვების ოთახში, ჯერ ერთს დააცქერდება, მერე მეორეს და ამ უკანასკნელს შუბლზე თითს გაუსვამს. წამოვა, ჩამოვა დარბაზში და ჩაძვრება იატაკში. ამ სცენის დროს დავრიში წითელის სინათლით არის განათებული... გაიღება უკანა კარები, შემოცვივდებიან ფერიები. გარს შემოერტყმიან აკვნებს, უნიავებენ ლეჩაქებს და ნანას დამღერიან, თან სრიალებენ. ნაზი მუსიკა.)

110 წლის საბედო ბზიშვილისა და მისი შვ-შვ-შვ-შვილი.
სოფ. ლატენის მცხოვრ. (გორის მაზრა.)

**პირიმზე.** (დააცქერდება ბავშვს, რომელსაც დავრიშმა ნიშანი დაადო) უიმე, ფერიებო!.. ვგონებ დავგვიანებულვართ. ამ პაწაწას ეშმაკის ნიშანი ადევს...

**მთვარია.** უი, საცოდავი! მერე რა კარგია...

**ბროლისახე.** როგორ იღიმება ძილში...

**ნათელა.** შენი გულისა, ტუჩებს აცმაცუნებს...

**წკრიალა.** ძუძუს ეძებს...

**ანკარა.** ბედშავი! უნდა უშველოთ როგორმე.

**პირიმზე.** გარს შემოერტყით, ფერიებო, შევეულოცოთ... მერე ლეჩაქებით მოვწმინდოთ შუბლი და ნიშანი გაქრება, ეშმაკის ძალა მოსცილდება...

**ფერიები.** (უვლიან გარს.)

შავ ბნელო ძალნო,
შხამით სავსენო,
ნუ ერჩით ბავშვსა,
იგი წმინდა არს
ჩვენია ხვედრი...
ჯურღმულის მკვიდრნო,
ეშმაკის კერძნო,
წარვედ გაჰქრენით,
ქვესკნელს ჩავარდით!

**პირიმზე.** (ლეჩაქით უწმენდს ბავშვს შუბლს) აი, წარიშალა ქაჯის ნიშანი... ახლა კი დროა, დრო, ვგონებ ძიძა იღვიძებს... წავიდეთ. (ერთხელ კიდევ შემოუვლიან და უკანა კარებიდან გავლენ. ნაზი მუსიკა).

ფ ა რ დ ა.

(შემდეგი იქნება)

**ი. გედევანიშვილი.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.